საქართველოს
სახალხო დამცველი
PUBLIC DEFENDER (OMBUDSMAN)
OF GEORGIA

ირაკლი ფაღავას N6
0144 თბილისი, საქართველო
ცხელი ხაზი:**1481(24/7)**
www.ombudsman.ge
ელ-ფოსტა: **info@ombudsman.ge**

03 ნოე 2025 წ.

KA000066335027525

№ 25/8845

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერს
ბატონ გიორგი ცინცაძეს

ზოგადი წინადადება

დისკრიმინაციის თავიდან აცილებისა და მის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხზე

შემუშავებულია „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-14 [1] მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტისა და 21-ე მუხლის, „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად

ბატონო გიორგი,

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში მიმდინარეობს საქმისწარმოება შპს „გაზეთი ბათუმელების” ჟურნალისტის, [redacted] № 1641/25 განცხადებასთან დაკავშირებით, რომელიც ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში განსხვავებული მოსაზრების ნიშნით სხდომაზე დაშვების უარს შეეხება.

1. ფაქტობრივი გარემოებები

განმცხადებლის განმარტებით,[1] 2025 წლის 12 თებერვალს, ჟურნალისტური საქმიანობის შესრულებისას, დაცვის პოლიციამ ქ. ბათუმის მერიის შენობაში არ შეუშვა, რის შედეგადაც, ვერ დაესწრო და ვერ გააშუქა უსახლკარო პირთა საკითხებზე სამუშაო შეხვედრის შესახებ ინფორმაცია.

წარმოდგენილი განცხადების თანახმად, სხდომას ესწრებოდნენ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი, ბათუმის საკრებულოს თავმჯდომარე და აჭარის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს დეპუტატები. განმცხადებლის განმარტებით, დიდხანს ელოდა ნებართვას მერიის პრესცენტრისგან, თუმცა, დაცვის პოლიციის წარმომადგენლებმა რამდენჯერმე უარი განუცხადეს შენობაში შესვლაზე, საფუძვლის განმარტების გარეშე. ამავდროულად, განმცხადებლის მითითებით, სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიის და რადიოს“ საშუალება მიეცა გადაეღო სხდომის ამსახველი მასალა.[2]

განმცხადებელი თავის დამატებით მომართვაში[3] აზუსტებს, რომ „ბათუმელებისთვის“ ამ შეხვედრის შესახებ ცნობილი გახდა მოქალაქისგან, რომელიც სამუშაო ჯგუფის სხდომას ესწრებოდა როგორც უსახლკარო, ШШ პირის მშობელი და მარტოხელა დედა.

[redacted] განმარტებით, მერიის შენობასთან, შეხვედრის დაწყებიდან რამდენიმე წუთში შივიდა, თუმცა დაცვის სამსახურმა განუმარტა, რომ შეხვედრაზე დასწრებას პრეს-სამსახურის ნებართვის შემთხვევაში შეძლებდა. ჟურნალისტმა 2025 წლის 12 თებერვალს ორჯერ, 12:16 და 12:23 საათზე, დაურეკა ბათუმის მერიის პრესცენტრს. [redacted] ინფორმაციით, თავდაპირველი საუბარი შეეხებოდა იმის გარკვევას, თუ რატომ იყო საჭირო ნებართვა შეხვედრაზე დასასწრებად, როცა იქამდე მსგავსი პრაქტიკა არ არსებობდა და შეხვედრაზე დასწრება [redacted] ჟურნალისტს შეეძლო. ამ საუბრიდან 9 წუთის გასვლის შემდეგ, როდესაც [redacted] ხელახლა დაუკავშირდა პრესცენტრის წარმომადგენელს, მიიღო განმარტება, რომ ვერ დაუშვებდნენ შეხვედრაზე, თუმცა შესაბამისი მიზეზის თაობაზე მისი ინფორმირება არ მომხდარა.

როგორც [redacted] დამატებით მომართვაში უთითებს, მას წინასწარ არ ჰქონდა ინფორმაცია, რომ სხდომის გაშუქებაზე მოთხოვნა მოპასუხისთვის უშუალოდ სხდომის დაწყებამდე უნდა წარედგინა, აღნიშნულის შესახებ ცნობა არც საჯარო წყაროებით გავრცელებულა, რის გამოც, მისთვის ობიექტურად შეუძლებელი იყო პრესცენტრისთვის სხდომის დაწყებამდე მიემართა; მაშინ, როდესაც სხდომის შესახებ ინფორმაცია წინასწარ ეცნობა აჭარის საზოგადოებრივ მაუწყებელს.[4]

განმცხადებელი მიიჩნევს, რომ დაშვებაზე უარი დაუსაბუთებელი და უსაფუძვლო იყო, აგრეთვე, უკავშირდებოდა იმ გარემოებას, რომ წარმოადგენდა კრიტიკულ მედია საშუალებას.

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის 2025 წლის 14 მარტის განმარტებით,[5] მერიაში არ მოქმედებს რაიმე სახის წესი, რომელიც შეზღუდავს დაინტერესებული პირების, აგრეთვე ჟურნალისტების, საჯარო სხდომებზე დასწრებას ან/და გაშუქების უფლების რეალიზებას. ამასთან, მოპასუხის მიერ მოწოდებული ინფორმაციით:

- ქ. ბათუმის ტერიტორიაზე უსახლკარო პირად/ოჯახად რეგისტრაციისთვის დადგენილი კრიტერიუმების შესასწავლად და დასკვნების მოსამზადებლად ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 25 ნოემბრის განკარგულებით (№ გ-15 15243305) შეიქმნა სამუშაო ჯგუფი. 2025 წლის 12 თებერვალს, წინადადებების განხილვის მიზნით, სამუშაო შეხვედრა დაინიშნა, რომელზეც მოწვეულნი იყვნენ სამუშაო ჯგუფის წევრები;
- უწყების განმარტებით, შეხვედრა საკონსულტაციო ხასიათის იყო და რაიმე სახის გადაწყვეტილება (ინდივიდუალური ან ნორმატიული სამართლებრივი აქტი) არ მიღებულა, შესაბამისად, სხდომა არ იყო საჯარო ხასიათის;
- მიუხედავად ამისა, მოწოდებული ინფორმაციით, რადგან უსახლკარო პირად/ოჯახად რეგისტრაციისათვის დადგენილი კრიტერიუმების ცვლილებასთან დაკავშირებით უწყებას არაერთხელ მიმართეს დაინტერესებულმა პირებმა და მათმა წარმომადგენლებმა, სამუშაო შეხვედრის თაობაზე სათანადო ინფორმაციის გაშუქების მიზნით, შეხვედრის დაწყებამდე შესაბამისი კადრების გადაღება განახორციელა მერიის მედიასა და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილებამ და აჭარის საზოგადოებრივი მაუწყებლის[6] წარმომადგენლებმა, რომლებმაც, შესაბამისი მოთხოვნით, ქ. ბათუმის მერიას სამუშაო შეხვედრის დაწყებამდე, ხოლო განმცხადებელმა - შეხვედრის მიმდინარეობისას მიმართა.

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიიდან 2025 წლის 8 აპრილს მოწოდებული დამატებითი ახსნა-განმარტების თანახმად:

- წინასწარ ინფორმაცია 2025 წლის 12 თებერვალს დაგეგმილი არასაჯარო სამუშაო შეხვედრის თაობაზე არ გამოქვეყნებულა მუნიციპალიტეტის ვებგვერდზე ან/და სხვა ღია წყაროებში;
- 2025 წლის 12 თებერვალს დილის საათებში, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენელმა სატელეფონო კომუნიკაციის საშუალებით აცნობა აჭარის საზოგადოებრივი მაუწყებლის წარმომადგენლებს სამუშაო შეხვედრის თაობაზე. უწყების მითითებით, ტელევიზიას, განსახილველი საკითხის მიმართ დაინტერესებულ პირთა ფართო წრის გამო, შეეთავაზა სამუშაო შეხვედრის დაწყებამდე კადრების გადაღება და სოციალური ხასიათის ინფორმაციის გავრცელება.
- ამასთან, მოპასუხისგან მიღებული პასუხის თანახმად, სამუშაო ჯგუფის მიერ უსახლკაროდ რეგისტრაციის წესში შესაბამისი ცვლილებების პროექტის მომზადების შემთხვევაში, მისი განხილვა უნდა განხორციელდეს წინასწარ გამოქვეყნებული დღის წესრიგით საკრებულოს სხდომაზე, რომელიც წარმოადგენს საჯარო ხასიათის

განხილვას და მასზე დასწრების უფლება, აქვს ნებისმიერ მოქალაქეს, მათ შორის, ჟურნალისტ[redacted]

ქ. ბათუმის მერიამ აგრეთვე დააზუსტა, რომ უწყებაში უშუალოდ მედიის მიერ მსგავსი ფორმატის სამუშაო შეხვედრებზე სხდომაზე დასწრებისა და გაშუქების საკითხებთან დაკავშირებით რეგულაციები არ მოქმედებს.[7] ხოლო უშუალოდ დაშვების საკითხზე, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის დამატებითი განმარტებით,[8] 2025 წლის 12 თებერვალს დაცვის სამსახურს არ ჰქონდა მითითება, სამუშაო შეხვედრაზე დასასწრებად დაეშვა სხვა ნებისმიერი პირი. აღნიშნულზე განმცხადებელი დამატებით მომართვაში მიუთითებს, რომ მას წინასწარ არ ჰქონდა ინფორმაცია, რომ სხდომის გაშუქებაზე მოთხოვნა მოპასუხისთვის უშუალოდ სხდომის დაწყებამდე უნდა წარედგინა; ამასთან, სხდომის შესახებ ინფორმაცია წინასწარ, ოფიციალური წყაროს მეშვეობით, უწყებას არ გაუვრცელებია და ეცნობა მხოლოდ აჭარის საზოგადოებრივ მაუწყებელს.[9]

2. ზოგადი წინადადების გაცემის სამართლებრივი საფუძველი და მიზანი

„საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ'' საქართველოს ორგანული კანონის მე-14[1] და 21-ე მუხლები, ისევე როგორც „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ" საქართველოს კანონის მე-6 მუხლი, განამტკიცებს ქვეყანაში თანასწორობის უზრუნველყოფაზე საქართველოს სახალხო დამცველის საზედამხედველო მანდატს, მათ შორის, თანასწორუფლებიანობის დანერგვისა და დისკრიმინაციასთან ბრძოლის საკითხებში. ამასთან, როგორც „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ" საქართველოს კანონი ადგენს,[10] საქართველოს სახალხო დამცველი ზოგად წინადადებას გამოსცემს იმ შემთხვევაში, როდესაც ადგილი აქვს დისკრიმინაციის წახალისებას, უარყოფითი სტერეოტიპების და სტიგმის გაძლიერების ან ისეთი გარემოს შექმნის ხელშეწყობას, რომელმაც, შესაძლოა, მომავალში გამოიწვიოს კონკრეტული ადამიანების თუ მოწყვლადი ჯგუფის უფლებათა შეზღუდვა დისკრიმინაციული საფუძვლით. ამავე კანონის მე-3 მუხლის შესაბამისად, კანონის მოთხოვნები ვრცელდება საჯარო დაწესებულებების, ორგანიზაციების, ფიზიკური და იურიდიული პირების ყველა ქმედებებზე ყველა სფეროში.

წინამდებარე ზოგადი წინადადების ფარგლებში, სახალხო დამცველი განიხილავს და აფასებს შემდეგ საკითხებს: კონკრეტული საქმის ფარგლებში, სარგებლობდა თუ არა განმცხადებელი გამოხატვის თავისუფლებით, დაშვებულია თუ არა ამ უფლებაში ჩარევა, მოხდა თუ არა უფლებაში ჩარევა თანასწორობის პრინციპის დაცვით და აქვს თუ არა ადგილი დისკრიმინაციის წახალისებას.

3. სამართლებრივი შეფასება

3.1. გამოხატვის თავისუფლება - იყო თუ არა საქმეში დაცული უფლება სახეზე

გამოხატვის თავისუფლება დემოკრატიული საზოგადოების არსებობის, მისი სრულფასოვანი განვითარების და თითეული ინდივიდის თვითრეალიზაციის ერთ-ერთი აუცილებელი წინაპირობაა.[11] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მითითებით, აზრისა და ინფორმაციის შეუფერხებელი გავრცელება უზრუნველყოფს შეხედულებათა მრავალფეროვნებას, ხელს უწყობს საზოგადოებისთვის მნიშვნელოვან საკითხებზე საჯარო და ინფორმირებულ მსჯელობას და შესაძლებელს ხდის საზოგადოებრივ ცხოვრებაში მისი თითოეული წევრის ჩართულობას.[12]

საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებულია აზრისა და მისი გამოხატვის თავისუფლება და რეგლამენტირებულია პირის უფლება, თავისუფლად მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია.[13] მსგავსი უფლება აღიარებულია აგრეთვე ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციით[14] და სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტით.[15]

მითითებული მოწესრიგების საფუძველზე, უფლებით დაცულ სფეროში ექცევა აზრის, შეხედულებებისა და ინფორმაციის გავრცელება თუ მიღება, მათ შორის, ჟურნალისტური საქმიანობის განხორციელების გზით.[16] გამოხატვის თავისუფლება მოიცავს იმ საშუალებებსაც, რომლებიც აზრის, ინფორმაციისა და შეხედულებების გამოთქმის, გავრცელებისა და მიღებისთვის არის აუცილებელი.[17] ასეთ საშუალებებს განეკუთვნება ბეჭდვითი მედია, სამაუწყებლო საშუალებები და ინტერნეტზე დაფუძნებული გამოხატვის მეთოდები.[18] ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ არაერთხელ გაუსვა ხაზი ინტერნეტის მნიშვნელობას გამოხატვის თავისუფლების განხორციელების თვალსაზრისით, კერძოდ, მის განსაკუთრებულ როლს ახალ ამბებზე საზოგადოების წვდომის ზრდისა და ზოგადად, ინფორმაციის გავრცელების ხელშეწყობის მიმართულებით.[19] აღნიშნული მოწმობს, რომ **უფლებით დაცულ სფეროში ექცევა არა მხოლოდ ჟურნალისტური საქმიანობის განხორციელება ტრადიციულ მედიაში, არამედ ინტერნეტ გამოცემებშიც**.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, გამოხატვის თავისუფლების ერთ-ერთი უმთავრესი დანიშნულებაა, უზრუნველყოს ინფორმაციის თავისუფალი გავრცელება საჯაროდ ხელმისაწვდომი წყაროების მეშვეობით, რაც უმთავრესად, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით ხორციელდება.[20] სწორედ მასობრივი ინფორმაციის საშუალებების სათანადო ფუქნციონირებაზე არის მნიშვნელოვნად დამოკიდებული საზოგადოების ინფორმირებულობის დონე და საბოლოო ჯამში, მისი დემოკრატიული განვითარება.[21] ამიტომ, საქართველოს კონსტიტუცია საგანგებოდ იცავს მედიის ძირითად უფლებასა და შესაძლებლობას, იფუნქციონიროს მთავრობის კონტროლის, შეზღუდვებისა და ცენზურის გარეშე, დროულად მოიძიოს და მიაწოდოს საზოგადოებას ინფორმაცია და იდეები მათთვის მნიშვნელოვან საკითხებზე სახელმწიფო ორგანოებისა თუ თანამდებობის პირების ჩაურევლად.[22] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ჟურნალისტების ასეთ სასიცოცხლო ფუნქციას მჭიდროდ უკავშირდებს საზოგადოების უფლებას, მიიღოს საჯარო ინტერესის სფეროში შემავალი ინფორმაცია; სხვაგვარად, შეუძლებელი იქნებოდა, მედიას განეხორციელებინა „საზოგადოებრივი დარაჯის როლი“[23] და ამდენად, ხელი შეეწყო განსხვავებული იდეების ცირკულაციისთვის, საზოგადოებრივი პრობლემების სააშკარაოზე გამოტანისთვის და მათზე საჯარო დისკუსიებისთვის.[24]

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მითითებით, ინფორმაციის შეგროვება ჟურნალისტიკაში არსებითი მოსამზადებელი ეტაპია და დაცულია პრესის თავისუფლებით.[25] მედიის წარმომადგენლის კვლევით და საგამოძიებო საქმიანობაზე შეზღუდვის დაწესება მკაცრ მეთვალყურეობას მოითხოვს იმ საფრთხეების გათვალისწინებით, რაც ჟურნალისტების მოსამზადებელი ნაბიჯების შეზღუდვის მცდელობას ახლავს; მართლაც, დაბრკოლებების შექმნა იმ მიზნით, რომ შეფერხდეს საჯარო ინტერესის სფეროში შემავალ ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა, ხელს უშლის მედიაში მომუშავე პირებს, ეძიონ მსგავსი საკითხები და ამდენად, შეასრულონ საკუთარი როლი საზოგადოებაში.[26]

საყურადღებოა, რომ საჯარო ინტერესი უკავშირდება მოვლენებს, რომლებსაც იმგვარი გავლენა აქვთ საზოგადოებაზე, რომ ლეგიტიმურად აღძრავენ მის ინტერესს, იპყრობენ მის ყურადღებას ან/და ზემოქმედებენ მოსახლეობის ცხოვრებასა და კეთილდღეობაზე.[27] გარდა ამისა, მსგავს საკითხებს განეკუთვნება თემები, რაც წარმოშობს სერიოზულ წინააღმდეგობრივ დამოკიდებულებებს, შეეხება მნიშვნელოვან სოციალურ საკითხებს, ან ისეთ პრობლემას, რომლის შესახებაც საზოგადოება ისურვებდა ინფორმირებულობას.[28]

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინტერნეტ გამოცემის ჟურნალისტის მიერ მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის საკითხების შესახებ ინფორმაციის მოძიება და მოპოვება, მათ შორის, საჯარო დაწესებულებაში ფიზიკური დაშვების გზით, წარმოადგენს მისი პროფესიული საქმიანობის შემადგენელ ნაწილს, რაც დაცულია გამოხატვის თავისუფლებით.

წინამდებარე საქმეში, 2025 წლის 12 თებერვალს, „ბათუმელების“ ჟურნალისტ[redacted] შესაძლებლობა არ მიეცა, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის შენობაში განეხორციელებინა პროფესიული საქმიანობა, კერძოდ, დაეფიქსირებინა უწყებაში მიმდინარე სამუშაო შეხვედრის მიმდინარეობა, აგრეთვე მიეღო ინფორმაცია მისი მიზნისა და მის ფარგლებში განსახილველი საკითხების შესახებ იმგვარად, როგორც ეს აჭარის საზოგადოებრივი მაუწყებლის წარმომადგებლებმა შეძლეს.[29] ამასთან, მერიისგან მიღებული განმარტება მოწმობს, რომ მითითებულ შეხვედრაზე განიხილებოდა მნიშვნელოვანი სოციალური საკითხი, რომლის მიმართ საზოგადოების ინტერესი მაღალი იყო. **ამდენად, მოცემულ შემთხვევაში, სახეზეა ჟურნალისტის გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევა.** თუმცა აქვე მნიშვნელოვანია შეფასდეს ჩარევის სამართლებრივი ხასიათი.

სახალხო დამცველის აღნიშნავს, რომ **გამოხატვის თავისუფლება, მიუხედავად მისი ღირებულებისა, არ არის აბსოლუტური ხასიათის.** საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, დასახელებული უფლების შეზღუდვა დასაშვებია მხოლოდ კანონის შესაბამისად, დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებელი სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების ან ტერიტორიული მთლიანობის უზრუნველსაყოფად, სხვათა უფლებების დასაცავად, კონფიდენციალურად აღიარებული ინფორმაციის გამჟღავნების თავიდან ასაცილებლად ან სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის უზრუნველსაყოფად.[30] უფლების შეზღუდვის მსგავსი წინაპირობები განერილია აგრეთვე ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციითა[31] და სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტით.[32]

მითითებული მოწესრიგების საფუძველზე, უფლებაში ჩარევის კანონიერება მოწმდება შემდეგი სამ-საფეხურიანი სქემის შესაბამისად: 1. ჩარევა გათვალისწინებულია კანონით; 2. ჩარევა ემსახურება ზემოთ ჩამოთვლილი ერთი ან რამდენიმე ლეგიტიმური მიზნის/ინტერესის დაცვას; და 3. ჩარევა აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში. ასეთი სტანდარტი ასახულია ასევე „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონში.[33]

წინამდებარე საქმის ფარგლებში, სახალხო დამცველი სადავოდ არ ხდის იმ გარემოებას, რომ სახელმწიფო უწყებაში გამართული დახურული სამუშაო შეხვედრების მიმდინარეობისას, ზემოხსენებული სტანდარტების დაცვით, შესაძლოა, დაწესდეს გარკვეული შეზღუდვები. საქართველოს კანონმდებლობა ითვალისწინებს ადმინისტრაციულ ორგანოებში ზეპირი განხილვების და სხდომების საჯაროობას, ასევე მათი დახურვის წინაპირობებს, თუმცა ამ შემთხვევაში მოპასუხის განმარტებით ჩატარდა სამუშაო შეხვედრა და არა კომისიის საჯარო სხდომა, ამის საპირისპიროს დამადასტურებელი რაიმე მტკიცებულება არც განმცხადებელს არ წარმოუდგენია.

თუმცა მოცემულ შემთხვევაში, სადავო არ არის, რომ სამუშაო შეხვედრაზე, რომლის შესახებაც ინფორმაციის მოძიებისა და გავრცელებისთვისაც [redacted] ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის შენობაში შესვლა სურდა, საჯარო ინტერესს მიკუთვნებული საკითხი განიხილებოდა და მასზე დასწრების უფლება [redacted] არ მიეცა მაძინ, როცა ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში 2025 წლის 12 თებერვალს დაგეგმილი სამუშაო შეხვედრის დაწყებამდე კადრების გადაღება და შესაბამისი ინტერვიუების ჩაწერა განახორციელა აჭარის ტელევიზიამ.

3.2. თანასწორობის უფლების მნიშვნელობა

სამართლის წინაშე თანასწორობის ფუნდამენტური პრინციპი გარანტირებულია საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლის პირველი პუნქტით, რომლის ფარგლებშიც, ყველა ადამიანი სამართლის წინაშე თანასწორია.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, თანასწორუფლებიანობის კონსტიტუციური დანაწესი ახდენს არა მხოლოდ თანასწორობის ფუნდამენტური უფლების რეგლამენტირებას, არამედ წარმოადგენს კონსტიტუციურ პრინციპს, რომელიც, მოიცავს ადამიანთა სამართლებრივი დაცვის თანაბარი პირობების უზრუნველყოფას.[34] **სასამართლო თანასწორობის პრინციპს ხედავს არა მხოლოდ ფორმალურ, დეკლარირებად უფლებად, რომელიც მოითხოვს პიროვნებათა აბსტრაქტულ თანასწორობას კანონის წინაშე, არამედ, მიიჩნევს, რომ თანასწორობის პრინციპის რეალიზაცია მოითხოვს როგორც ნორმატიულ, ასევე, პრაქტიკულ თანასწორობასაც.**[35] აღნიშნული გულისხმობს, რომ **პირებს ჰქონდეთ უფლებათა თანასწორად რეალიზების შესაძლებლობა. თანასწორობის რეალური უზრუნველყოფა ერთ-ერთი მთავარი კრიტერიუმია სამართლის უზენაესობის ხარისხის, დემოკრატიის და ადამიანის უფლებათა პრიმატის შესაფასებლად.**

თანასწორუფლებიანობის სტანდარტს განამტკიცებს ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-14 მუხლი და მე-12 დამატებითი ოქმი, რომელთა ფარგლებში, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი ავითარებს თანასწორუფლებიანობის პრიმატულობის პრინციპს.[36] მე-14 მუხლის ფარგლებში განმტკიცებული თანასწორობის პრინციპი მე-10 მუხლით დაცული - გამოხატვის თავისუფლების რეალიზების განუყოფელი ასპექტია, ხოლო მედია სუბიექტებისთვის ინფორმაციაზე თანასწორად წვდომის სამართლებრივ საფუძველს ქმნის. თანასწორობის უფლებრივი არსი ამ პროცესში მოითხოვს, ინფორმაციაზე წვდომის პირობები განისაზღვროს მკაფიო, წინასწარ განჭვრეტადი და ობიექტური კრიტერიუმებით. მედიის წარმომადგენელთა გამორიცხვა ან დაუსაბუთებელი შეზღუდვა რაიმე ნიშნის საფუძველზე წინააღმდეგობაში მოდის კონვენციის მე-14 მუხლით დაცულ სფეროსთან, აბრკოლებს თანასწორუფლებიანობის პრინციპის რეალურ განხორციელებას და აზიანებს გამოხატვის თავისუფლების არსს.

თანასწორი გარემოს შექმნა ამ კონტექსტში გულისხმობს მედიასაშუალებების რეალურ, პრაქტიკულ შესაძლებლობას ისარგებლონ თანასწორი პირობებით პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას, მათ შორის:

- ინფორმაციაზე დაშვების კრიტერიუმების საჯაროობა, რათა არ წარმოიშვას რომელიმე მედიის მიმართ არათანაბარი მოპყრობის რისკი;
- ყველა მედია საშუალების მიმართ თანასწორი ხასიათის სამართლებრივი რეგულაციები, რაც მეტად უზრუნველყოფს პლურალიზმს;
- მონიტორინგის ეფექტიანი მექანიზმის არსებობა, რათა ნორმების პრაქტიკაში მოქმედების ეფექტიანობა გადახედვადი და შეფასებადი იყოს.[37]

გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტის № 34 ზოგადი კომენტარებიდან გამომდინარე, ინფორმაციის თავისუფლების უზრუნველყოფა მოითხოვს არა მხოლოდ გაუმართლებელი შეზღუდვების თავიდან აცილებას, არამედ მრავალფეროვანი მედიასაშუალებების აქტიურ მხარდაჭერას და ხელშეწყობას.[38] კომიტეტის განმარტებით, ის სამართლებრივი რეგულაციები და ნორმატიული აქტები, რომელიც მიემართება ამ უფლების საკანონმდებლო შეზღუდვას, არ უნდა ითვალისწინებდეს დისკრიმინაციულ ბარიერებს მედიასაშუალებათა მიერ აღნიშნული უფლებით სარგებლობისას.[39] ამდენად, კომიტეტი მოითხოვს, საჯარო ორგანოებმა არ შექმნან უთანასწორო ბარიერები მედიის ინფორმაციაზე წვდომის თვალსაზრისით.

ზემოთ განხილულ საერთაშორისო სტანდარტებზე დაყრდნობით, სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულებები მედია-საშუალებებთან მიმართებით მოიცავს, თუმცა არ შემოიფარგლება ქვემოთ ჩამოთვლილით:

1. **სამართლებრივი რეგულაციების შემოღება:** სამართლებრივი ნორმით განსაზღვრული უნდა იყოს მედიის დაშვების პროცედურები;
2. **პრაქტიკაში დანერგვა:** საჯარო უწყებებმა უზრუნველყონ, რომ ყველა მედია საშუალება თანაბრად იღებდეს ინფორმაციას წინასწარ დადგენილი წესით;
3. **მონიტორინგი და ანგარიშგება:** დოკუმენტირებული უნდა იყოს მედიის წვდომის პროცესი, რათა დროულად გამოვლინდეს დისკრიმინაციის წახალისების ან უთანასწორო მოპყრობის სხვა შემთხვევები;
4. **ინფორმირება:** ნებისმიერი შეზღუდვა უნდა იყოს გამჭვირვალე, საფუძვლიანი და ცნობილი;
5. **მულტიპლურალური მიდგომა:** ადგილობრივი მედიის მრავალფეროვნება უნდა იყოს აღიარებული და მხარდაჭერილი, რაც ხელს უწყობს მოსახლეობის ინფორმირებულობას.

საქმეში არსებული ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, ასევე საგულისხმოა თანამედროვე მუნიციპალურ ორგანოთა დემოკრატიულ მმართველობაში მედიის როლი. მუნიციპალურ მმართველობაში მრავალფეროვანი მედიის ხელშეწყობა ადგილობრივი თვითმმართველობის საქმიანობის გამჭვირვალობას, მოქალაქეთა ინფორმირებულობის ზრდას და პოლიტიკური პლურალიზმის განმტკიცებას უზრუნველყოფს,[40] რაც **თანასწორუფლებიანობის, ანგარიშვალდებულობისა და კარგი მმართველობის პრინციპების ეფექტიანი რეალიზების მექანიზმია.** შესაბამისად, ადგილობრივი ხელისუფლების მხრიდან თანასწორუფლებიანობის განმტკიცება უმნიშვნელოვანესია მუნიციპალური მმართველობის ეფექტურად განსახორციელებლად,[41] ვინაიდან ადგილობრივი თვითმმართველობა უმთავრესად არის საქართველოს მოქალაქეთა უფლება და შესაძლებლობა, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მეშვეობით, საქართველოს კანონმდებლობის ფარგლებში, **ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესების** შესაბამისად გადაწყვიტონ მუნიციპალური მნიშვნელობის საკითხები.[42]

პლურალისტური მედიის მხარდასაჭერად, პოზიტიური ზომების მიღება უზრუნველყოფს, რომ მედიასაშუალებები უთანასწორო ბარიერების გარეშე შეძლებენ ინფორმაციის მოპოვებას, გავრცელებასა და შესაბამის პროცესებში მონაწილეობას.[43] მრავალფეროვანი მედია ადგილობრივი მმართველობის სივრცეში უზრუნველყოფს:

- პლურალიზმის გაძლიერებას[44] - მედია საშუალებათა თანასწორ წვდომას, რაც დგილობრივ დონეზე განსხვავებულ მოსაზრებათა გავრცელებასა და ასახვას უზრუნველყოფს;
- ინფორმაციულ ფუნქციას - მოსახლეობის ფართო და მრავალფეროვანი სპექტრის ჯეროვან ინფორმირებას ადგილობრივ დონეზე მიმდინარე თუ დაგეგმილ პოლიტიკურ, სოციალურ და ეკონომიკურ პროცესებზე;
- მონიტორინგის ფუნქცის (ე.წ. „watchdog role'') - ასრულებს ზედამხედველის როლს, აკვირდება ადგილობრივი თვითმმართველობის გადაწყვეტილებებს, რაც ზრდის მუნიციპალურ ორგანოთა პასუხისმგებლობის დონეს.

4. მომავალში დისკრიმინაციის წახალისების თავიდან აცილება

<u>**წინამდებარე საქმეში დადგინდა, რომ**</u> მუნიციპალურ ორგანოში ზოგადად არ მოქმედებს წერილობითი, სამართლებრივად განსაზღვრული შიდა წესი, რომელიც დაარეგულირებდა მედია-საშუალებათა თანაბარი დაშვებისა და მუნიციპალური საქმიანობის (ღია/დახურული სხდომების, სამუშაო შეხვედრების კომისიების და სხვ.) გაშუქების პროცედურას. წესის არარსებობა კი **სამართლებრივად მოუწესრიგებელ სივრცეს ქმნის**, როცა მიღებული გადაწყვეტილების ხასიათი შეიძლება დამოკიდებული იყოს სუბიექტურ კრიტერიუმებზე; წესის არქონა სამართლებრივი რისკის მატარებელი გარემოებაცაა, რომელიც სამომავლოდ ქმნის დისკრიმინაციის წახალისების საფრთხეს.

კერძოდ, **მუნიციპალურ ორგანოთა საქმიანობის გაშუქების პროცესში, მნიშვნელოვანია ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებმა ხელი შეუწყონ მედიასაშუალებათა თანაბარ ჩართულობას, როგორც რელევანტური შიდა საკანონმდებლო მოწესრიგების, ისე პრაქტიკაში განმტკიცების გზით, *სხვაგვარად, მუნიციპალურ მმართველობაში ინსტიტუციური მექანიზმების და წერილობითი რეგულაციის არ არსებობა მედია-საშუალებებთან მიმართებით, სამომავლოდ უკავშირდება შემდეგ გამოწვევებს:***

- **„მსუსხავი ეფექტის" გაძლიერება** - მედიის წარმომადგენლებმა სამომავლოდ შეიძლება თავი შეიკავონ თვითმმართველობის საქმიანობის გაშუქებისგან, იმ დაშვების გამო, რომ მომავალშიც შეეზღუდებათ ინფორმაციაზე წვდომა. ეს გავლენას ახდენს არა მხოლოდ

ჟურნალისტებზე, არამედ საზოგადოების უფლებაზე მიიღოს მრავალფეროვანი ინფორმაცია;

- **სუბიექტურ გადაწყვეტილებათა მიღების საფრთხე** - ნორმატიული წესების არარსებობისას, მედია-საშუალებათა წვდომის უზრუნველყოფა დამოკიდებულია კონკრეტული თანამდებობის პირის ფართო დისკრეციაზე, რაც ქმნის რომელიმე მედიის მხოლოდ გაშუქების შინაარსის, პოლიტიკური დამოკიდებულებების ან სხვა სუბიქტური საფუძვლით შეზღუდვის საფრთხეს.

მართალია, **ზოგად-სამართლებრივ კონტექსტში უწყებას აქვს საკუთარი მიხედულების ფარგლები,** თუმცა ინფორმაციაზე თანაბარი წვდომის შეზღუდვა პატივსადები ლეგიტიმური ინტერესით განპირობებული და სამართლებრივი საფუძვლით განმტკიცებული უნდა იყოს. ამასთან, სამართლებრივი განსაზღვრულობის კონტექსტში („legal certainty"), საჯარო ორგანოს მიერ განხორციელებული ქმედებები უნდა ემყარებოდეს მკაფიო, წინასწარ ცნობად და პროგნოზირებად ნორმებს.

ამავე დროს, თუ მუნიციპალური მმართველობის განმახორციელებელ ორგანოს შემუშავებული არ აქვს მკაფიოდ და ნორმატიულად განმტკიცებული სამართლებრივი რეგულაციები, რომელიც მოაწესრიგებს ჟურნალისტების დაშვების და შესატყვის სხდომებზე დასწრების საკითხებს, წარმოიქმნება საფრთხე, რომ წვდომის უზრუნველყოფა განხორციელდება სუბიექტური და არათანასწორი მიდგომებით. ასეთ პირობებში, მაღალია დისკრიმინაციის წახალისების რისკი - ანუ ისეთი გარემოს შექმნა, რომელიც პირდაპირ თუ ირიბად ქმნის უთანასწორო მოპყრობის ან მიკერძოებული დამოკიდებულების შესაძლებლობას.

სახალხო დამცველი მიუთითებს, რომ განხილული საქმის ფარგლებში კონკრეტულად ერთი მედიასაშუალება[45] სხდომის დაწყებამდე წინასწარ იქნა ინფორმირებული სამუშაო შეხვედრის შესახებ კონკრეტული დათქმით,[46] ხოლო სხვა მედიასაშუალებათათვის ასეთი შეთავაზება არ მომხდარა; ამასთან, განმცხადებელმა მას შემდეგ ითხოვა ადმინისტრაციულ ორგანოში შესვლა, როცა მისთვის ცნობილი გახდა ხსენებული ღონისძიების შესახებ, თუმცა უწყების მხრიდან გონივრულ ვადაში დადებითი პასუხი ვერ მიიღო. შესაბამისად, არაერთგვაროვანი პრაქტიკა მედია-საშუალებათა სამუშაო შეხვედრებზე დასწრების, გაშუქების, მსგავსი შეხვედრების შესახებ ინფორმაციის მისაწვდომობის კუთხით, კონკრეტულ საქმეშიც ნათლად წარმოჩნდა. ამ კონტექსტში საყურადღებოა, რომ მოპასუხემ ვერ მიუთითა აღნიშნულის მომწესრიგებელ კანონისმიერ საფუძველზე და სამართალურთიერთობის კონკრეტულ ნორმაზე, ვინაიდან, როგორც ზემოთ აღნიშნა, მსგავსი სამართლებრივი წესი უწყებას ზოგადად არ გააჩნია. შესაბამისად, ამგვარი მოცემულობა თანაბარი მოპყრობის პრინციპის მნიშვნელოვანი გამოწვევაა, რადგან ერთი მედიასაშუალება, გარკვეული დათქმით, თუმცა ეფექტურად უზრუნველყოფს ინფორმაციის მიწოდებას საზოგადოებისათვის, ხოლო სხვა მედიასაშუალება მოკლებულია აღნიშნულ შესაძლებლობას.

საკითხის ნორმატიული მოუწესრიგებლობა და პოზიტიური პრაქტიკის სიმწირე ქმნის ისეთ პირობებს, სადაც განსხვავებული მოპყრობა შეიძლება მოხდეს თვითნებურად, არათანაბრად ან სუბიექტური ფაქტორების გავლენით. ასეთ ვითარებაში დისკრიმინაციის წახალისების საფრთხე სამომავლოდაც რეალური ხდება, ვინაიდან საჯარო ორგანოს მოქმედება ან უმოქმედობა ვერ უზრუნველყოფს პროგნოზირებად და წინასწარ განჭვრეტად თანასწორ შესაძლებლობებს.

შეჯამება

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინფორმაციის თავისუფლების დაცვა მოითხოვს მედია საშუალებათა საქმიანობისთვის თანასწორი გარემო-პირობების შექმნას, რაც ვლინდება როგორც საკანონმდებლო, ისე - პრაქტიკულ ქმედებებში, მათ შორის, ორგანიზაციულ და ინსტიტუციურ მექანიზმებში.

სახალხო დამცველის შეფასებით, იმისთვის, რომ მომავალში თავიდან იქნას აცილებული მედიის წარმომადგენელთა გამოხატვის თავისუფლებაში თვითნებური ჩარევა ან/და მათ მიმართ არათანმიმდევრული მიდგომების გატარება, აუცილებელია, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში არსებობდეს თანასწორუფლებიანობის შესატყვისი და ყოვლისმომცველი წესები, რომელიც განჭვრეტადი და ობიექტური კრიტერიუმების საფუძველზე, დაარეგულირებს მედიის წარმომადგენელთა მოწვევის, დაშვებისა და უწყებაში მათი საქმიანობის განხორციელების საკითხებს, მათ შორის, დახურული ფორმატის სამუშაო შეხვედრებთან/სხდომებთან მიმართებით.

შესაბამისად, პრევენციული ნორმატიული ჩარჩოს დანერგვა აუცილებელია, რომ სამომავლოდ უზრუნველყოფილი იყოს ინფორმაციაზე თანაბარი წვდომის სტანდარტი და ადგილობრივი მმართველობის ანგარიშვალდებული, დემოკრატიული და მოქალაქეზე ორიენტირებული საქმიანობა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს სახალხო დამცველი „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ ორგანული კანონის მე-14[1] მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტისა და „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, ზოგადი წინადადებით მიმართავს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას:

- თანასწორუფლებიანობის უზრუნველმყოფი, განჭვრეტადი და ობიექტური კრიტერიუმების საფუძველზე, შემუშავდეს **შიდა სამართლებრივი აქტი,** რომელიც ნორმატიულად მოაწესრიგებს მედიის წარმომადგენელთა მოწვევის, დაშვებისა და უწყებაში მათი საქმიანობის განხორციელების საკითხებს, მათ შორის, დახურული ფორმატის სამუშაო შეხვედრებთან მიმართებით;
- შეიქმნას და სამომავლოდ დაინერგოს შიდა პროცედურული რეგულაციები, რომელიც დაარეგულირებს მედიასთან ურთიერთობის სტანდარტებს, მათ შორის, უკუკავშირისა და გასაჩივრების ეფექტური მექანიზმის ასახვით.

გთხოვთ, თქვენს მიერ გატარებული ღონისძიების თაობაზე მაცნობოთ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლის თანახმად.

პატივისცემით,

---

[1] [redacted] №1641/25 განცხადება.

[2] იქვე.

[3] [redacted] 2025 წლის 22 აპრილის №3655/25 განცხადება.

[4] [redacted] 2025 წლის 20 მარტის №2682/25 განცხადება.

[5] ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის 2025 წლის 14 მარტის №14-1425073422 კორესპონდენცია.

[6] სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიის და რადიოს“ წარმომადგენლები.

[7] იქვე.

[8] ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის 2025 წლის 4 ივლისის კორესპონდენცია №14-1425185793.

[9] [redacted] 2025 წლის 20 მარტის №2682/25 განცხადება.

[10] „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ'' საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „გ'' ქვეპუნქტი.

[11] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2005 წლის 13 სექტემბრის გადაწყვეტილება საქმეზე *İ.A. v. Turkey*, პარ. 23.

[12] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 11 აპრილის № 1/1/468 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II, პ.26.

[13] საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 17, პუნქტი 1 და პუნქტი 2.

[14] ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია, მუხლი 10.

[15] სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი, მუხლი 19.

[16] ადამიანის უფლებათა კომიტეტი (HRC), ზოგადი კომენტარი №34, მუხლი 19, აზრისა და გამოხატვის თავისუფლება, 12 სექტემბერი 2011, CCPR/C/GC/34, პარ. 11. ხელმისაწვდომია ბმულზე: <https://bit.ly/3cxa2Sr> [29.09.2025].

[17] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 17 დეკემბრის № 2/6/1311 გადაწყვეტილება საქმეზე „შპს სტერეო+“, ლუკა სევერინი, ლაშა ზილფიმიანი, რობერტ ხახალევი და დავით ზილფიმიანი საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს იუსტიციის მინისტრის წინააღმდეგ“, II.პარ.56.

[18] *იქვე; იხ. ასევე,* ადამიანის უფლებათა კომიტეტი (HRC), ზოგადი კომენტარი №34, მუხლი 19, აზრისა და გამოხატვის თავისუფლება, 12 სექტემბერი 2011, CCPR/C/GC/34, პარ. 12.

[19] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2012 წლის 18 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე *Ahmet Yildirim v. Turkey*, პარ. 48.

[20] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 17 დეკემბრის № 2/6/1311 გადაწყვეტილება საქმეზე „შპს სტერეო+“, ლუკა სევერინი, ლაშა ზილფიმიანი, რობერტ ხახალევი და დავით ზილფიმიანი საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს იუსტიციის მინისტრის წინააღმდეგ“, II.პარ.58.

[21] *იქვე*, პარ.59.

[22] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2023 წლის 22 თებერვლის №1/1/1537 გადაწყვეტილება საქმეზე „„შპს მთავარი არხი", „შპს ტელეკომპანია პირველი", „შპს ტელეკომპანია კავკასია", „შპს ფორმულა", ირაკლი საღინაძე, გიორგი ლიფონავა და ქეთევან დევდარიანი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II.პარ. 10.

[23] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1999 წლის 20 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე *Bladet Tromsø and Stensaas v. Norway*, პარ. 59; ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2017 წლის 27 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე *Satakunnan Markkinapörssi Oy and Satamedia Oy v. Finland*, პარ. 126

[24] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2023 წლის 22 თებერვლის №1/1/1537 გადაწყვეტილება, II.პარ.10.

[25] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2021 წლის 20 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე *ამაღლობელი და სხვები საქართველოს წინააღმდეგ*, პარ. 36.

[26] *იქვე*.

[27] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2017 წლის 27 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე *Satakunnan Markkinapörssi Oy and Satamedia Oy v. Finland*, პარ. 171.

[28] *იქვე*.

[29] იხ. აჭარის საზოგადოებრივი მაუწყებლის 2025 წლის 12 თებერვლის სიუჟეტი სახელწოდებით „უსახლკაროთა კრიტერიუმების შემსნავლელი სამუშაო ჯგუფის სხდომა", ხელმისაწვდომია ბმულზე: < bit.ly/47ko0FP > [23.10.2025].

[30] საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 17, პუნქტი 5.

[31] ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-10 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, გამოხატვის თავისუფლება შეიძლება დაექვემდებაროს კანონით დადგენილ ისეთ წესებს, პირობებს, შეზღუდვებს ან სანქციებს, რომლებიც აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში ეროვნული უშიშროების, ტერიტორიული მთლიანობის ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესებისათვის, საზოგადოებრივი წესრიგობის თუ დანაშაულის აღსაკვეთად, ჯანმრთელობის ან მორალის დაცვის მიზნით, სხვათა უფლებების ან ღირსების დასაცავად, საიდუმლოდ მიღებული ინფორმაციის გამჟღავნების თავიდან ასაცილებლად, ან/და სასამართლოს ავტორიტეტისა და მიუკერძოებლობის უზრუნველსაყოფად.

[32] სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-19 მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, გამოხატვის თავისუფლება შეიძლება დაექვემდებაროს გარკვეულ შეზღუდვებს, რომლებიც დადგენილია კანონით და აუცილებელია: a) სხვა პირთა უფლებებისა და რეპუტაციის დასაცავად; b) სახელმწიფო უშიშროების, საზოგადოებრივი წესრიგის, მოსახლეობის ჯანმრთელობისა და ზნეობის დასაცავად.

[33] „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ" საქართველოს კანონი, მუხლი 8.

[34] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2024 წლის 14 ივნისის №2/2/1344 გადაწყვეტილება საქმეზე *„ა(ა)იპ „ახალგაზრდა ადვოკატები" საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ"*, II.2.

[35] *იქვე*.

[36] Guide on Article 14 of the European Convention on Human Rights and on Article 1 of Protocol No. 12 to the Convention Prohibition of discrimination, 28 February 2025. ხელმისაწვდომია ბმულზე: < bit.ly/47BXHMu > [23.10.2025].

[37] დეტ. იხ., ,,Recommendations and Declarations of the Committee of Ministers of the Council of Europe in the field of media and information society'', Media and Internet Division Directorate General of Human Rights and Rule of Law Strasbourg, July 2015.

[38]ადამიანის უფლებათა კომიტეტი (HRC), ზოგადი კომენტარი №34, მუხლი 19, აზრისა და გამოხატვის თავისუფლება, 12 სექტემბერი 2011, CCPR/C/GC/34, პარ. 13-19.

[39] *იქვე*, პარ. 26-29.

[40] Recommendation CM/Rec(2007)2 of the Committee of Ministers to member states on media pluralism and diversity of media content (Adopted by the Committee of Ministers on 31 January 2007 at the 985th meeting of the Ministers' Deputies).

ხელმისაწვდომია ბმულზევებგვერდზე: < bit.ly/47EhI5a > [23.10.2025].

[41],,ადამიანის უფლებები ადგილობრივ დონეზე საქართველოში'', შეფასების დოკუმენტი ევროპის საბჭოს ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფალთა კონგრესი, 2021. გვ. 37. ხელმისაწვდომია ბმულზე: < bit.ly/3WgP1oD > [23.10.2025].

[42]საქართველოს ორგანული კანონი ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის'' მე-2 მუხლის პირველი ნაწილი.

[43] CM/Rec(2011)7 - Recommendation of the Committee of Ministers to member states on a new notion of media. Adopted by the Committee of Ministers on 21 September 2011 at the 1121st meeting of the Ministers' Deputies. ხელმისაწვდომია ბმულზე: < bit.ly/3L1sXMd > [23.10.2025].

[44]დამ. იხ., European Broadcasting Union (EBU) „Public Service Media under Article 10 of the European Convention on Human Rights'', 2013.

[45] სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიის და რადიო''.

[46] მოპასუხის მითითებით, შეხვედრაზე განსახილველი საკითხის მიმართ მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის გათვალისწინებით, შეხვედრის შესახებ აჭარის ტელევიზიას აცნობა, იმ დათქმით, რომ შეხვედრის დაწყებამდე განეხორციელებინა შესაბამისი კადრების გადაღება, ასევე სოციალური ხასიათის მქონე ინფორმაციის გავრცელება.

საქართველოს სახალხო დამცველი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ლევან იოსელიანი